ზუგდიდის რეგიონალური
სავაჭრო - სამრეწველო პალატა
შ.პ.ს. ფირმა „ზუგდიდექსპერტიზა“

ქ. ზუგდიდი. რუსთაველის ქ. №93 ტელ: (0415)22-12-30 მობ. 555-14-11-12.
ა/ა 36020149 „სახალხო ბანკი"-ს ზუგდიდის ფილიალი.

ქ. ზუგდიდი

10. 11. 2015 წ.

# ექსპერტიზის აქტი №383

1. აქტის შედგენის ადგილი: ქ. ზუგდიდი
2. აქტი შეადგინა ექსპერტმა: ზ. ბერულავა
3. ექსპერტიზის დამკვეთი და მისი მისამართი: სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაქვინჯის საჯარო სკოლა. ს/კ 220373691.
4. ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი: მომართვა № MES 71501098004 22.10.2015წ.
5. ექსპერტიზის ამოცანა: დადგენილ იქნას სსიპ სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაქვინჯის საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული სახელოსნოს შენობების ტექნიკური მდგომარეობა.
6. საქმის (წარმოდგენილი) მასალების გამოკვლევის შედეგები და ექსპერტიზის დასკვნა:

სსიპ ჭაქვინჯის საჯარო სკოლის 22.10.2015წ. № MES 1501098004 მომართვის საფუძველზე ტექნიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით დათვალიერებულ იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭაქვინჯში (მიწის უძრავი ქონების ს/კ 43.06.42.417) მდებარე ძველი სახელოსნოს შენობა.

ვიზუალური დათვალიერებითა და მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით დადგინდა:

1. ძველი სახელოსნო (შენობა №2) წარმოადგენს ერთსართულიან ხის შენობას უკანა ნაწილზე კაპიტალური მიშენებით. შენობის საერთო გაბარიტული ზომებია (8,0X12,0)მ. მათ შორის კაპიტალური მიშენების (3,0X5,0)მ. შენობა შევიდა ექსპლუატაციაში 1972 წელს, განეკუთვნება კაპიტალობის III ჯგუფს.

ხის შენობის ძირითადი კონსტრუქციული ელემენტებია: საძირკველი - ლენტური ყორე ქვის ბეტონის შევსებით; ზეძირკველი - მონოლითური ბეტონის; კედლები - ხის; გადახურვა ხის კოჭების; იატაკები ხის; სახურავი - აზბოცემენტის ფურცლების (შიფერის).

უკანა ფასადზე მიშენებული კაპიტალური შენობის ძირითადი კონსტრუქციული ელემენტებია - საძირკველი და ზეძირკველი - ლენტური, მონოლითური ბეტონის; კედლები - წვრილი საკედლე ბლოკების; სეისმური სარტყლები და ზღუდარები - რ/ბეტონის; გადახურვა - რ/ბეტონის მონოლითური ფილით; სახურავი - რბილი, რუბეროიდის;

სახელოსნოს ძირითადი შენობა დღეის მდგომარეობით ავარიულ მდგომარეობაშია, დაზიანებულია აზბოცემენტის სახურავი, რის შედეგად შენობას აწვიმს. ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებით შენობის კედლები მნიშვნელოვნად დაზიანებულია, ხის ძირითად კონსტრუქციულ ელემენტებს (სახურავის კარკასი, კედლების ხის ფიცრები, გადახურვის და იატაკქვეშა ხის კოჭები, იატაკები) დაახლოებით 35-40%-ს გააჩნია სიდამპლის ნიშნები, რის შედეგად კონსტრუქციული ელემენტების ნაწილი ჩამონგრეულია, ხოლო დარჩენილი ნაწილის მზიდუნარიანობა მნიშვნელოვნად შემცირებულია რაც მთლიანობაში განაპირობებს შენობის მდგრადობის დასუსტებას და მის ავარიულობას.

გაგრძელება მე2 გვერდზე

შენობის უკანა ფასადზე არსებული კაპიტალური ნაწილის კონსტრუქციულ ელემენტებს დათვალიერების მომენტისათვის მნიშვნელოვანი დაზიანებები არ გააჩნია, შენობის ვიზუალური დათვალიერებისას არ გამოვლენილა მისი დეფორმაცია, ფუნდამენტების ჯდომა და ბზარები. შენობა კონსტრუქციულად მდგრადია და მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას.

ძველი სახელოსნოს შენობის, ხის ნაწილის სარეთო ფიზიკური ცვეთია შეადგენს - 70,1% (იხ. დანართი № 1) ხოლო საერთო ვარგისიანობისინდექსი შეადგენს - 0,214. შენობის აღდგენის ღირებულება მისი რეალური ღირებულების ნახევარზე მეტია (იხ. დანართი № 2) ე.ი. შენობის აღდგენა არ არის მიზანშეწონილი.

7. დასკვნა: გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაქვინჯის საჯარო სკოლის ტერიტორიაზე (მიწის უძრავი ქონების ს/კ 43.06.42.417) განთავსებული ძველი სახელოსნოს ერთსართულიანი შენობის (შენობა №2) კაპიტალური ნაწილი (მიშენება გაბარიტული ზომბით (5,0X3,0)მ.) კონსტრუქციულად მდგრადია და მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას, ხოლო სახელოსნოს შენობის ხის ნაწილის ძირითადი კონსტრუქციული ელემენტები იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში, შენობებზე ატმოსფერული ნალექების შემდგომმა ზემოქმედებამ შესაძლოა გამოიწვიოს დაზიანების ხარისხის ზრდა და შენობის ნგრევა. შენობების სეისმომდგრადობის თვალსაზრისით აღდგენის დანახარჯები აღემატება მისი რელური ღირებულების ნახევარს, ე.ი სახელოსნოს შენობის ხის ნაწილის აღდგენა და დანიშნულების მიზნით გამოყენება, როგორც ეკონომიური ასევე ტექნიკური თვალსაზრისით არ არის მიზანშეწონილი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია მისი დემონტაჟი.

ექსპერტიზის დაწყების თარიღი: 25 ოქტომბერი 2015 წ.

ექსპერტიზის დამთავრების თარიღი: 10 ნოემბერი 2015 წ.

ექსპერტი: (გ. ბერულავა)

აქტი რეგისტრირებულია 10.12.2015წ.